8 12 549

სამშაბათი, 25 თებერვალი, 1930 წ. წელიწადი მეშვიდე ფასი 10 კაპ.



„სამუშაოდ“ წამოსულნი

— არა, ეს საქართველო არ არის! ხედავ რამდენი ქარხნებია?! ეს სულ სხვა ქვეყანაა... ალბად მხარი გვექცა და გზა აგვერია!



Ოდესღაც ეს მიდამო ულნარი ტყით იყო დაბურული.

ადამიანები აქ არ სცხოვრობდენ. იშვიათად თუ მონადირეებს შეხვდებოდით. დღეს კი ეს არე-მარე თვალწარმტაცია და ხიბლავს ადამიანს. გარშემო მთები და გორაკები დაფარულია ბაღებით და ყანებით. დაბლობში მთის მოჩუხჩუხე მდინარის პირას გაშენებულია ხეივანი, სადაც საღამოობით ხალხი თავს იყრის და სხვადასხვა გასართობებით დროს ატარებს.

ამ მიდამოს მფლობელი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი კომუნაა, რომელსაც ეწოდება „25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ".

აქ თქვენ ვერ შეხვდებით ვინმეს მოწყენილს და თვალცრემლიანს. აქ ყველა შრომობს. ახალგაზრდა კომუნარებს არ ახსოვთ ამ კომუნის დაარსება. მხოლოდ არიან მოხუცი კომუნარები, რომლებიც მონაწილენი ყოფილან მის დაარსებაში. მათ შორის არის ოთხმოცდა ათის წლის მოხუცი მიხო, რომელსაც უცხოვრია ოქტომბრამდე ორმოცი წელი და ოქტომბრის შემდეგ ორმოცდა ათი.

— ამხანაგებო სმენა, მიხო მოგვითხრობს წარსულის ამბავს! — მიმართა ერთმა კომუნარმა ამხანაგებს.

— იყო და არა იყო რა, — დაიწყო მიხომ, — იყო საქართველოში ერთი მთავრობა, რომელიც თავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას უწოდებდა.

— ამხანაგო მიხო, ჩვენ ზღაპარი არ გვინდა, მოგვიყევ ნამდვილ ამბავს წარსულიდან! — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა კომუნარმა.

— გთხოვთ ნუ მიშლით, მე თქვენ მოგითხრობთ სწორედ ნამდვილ ამბავს, რომელიც თვალით მინახავს და ყურით გამიგონია.

— განაგრძე მიხო, განაგრძე! გაისმა ხმები.

— ჰო, და ის მთავრობა იყო უხალხო, ქართველი მშრომელი ხალხი მას არ სცნობდა. სამაგიეროთ ის თვლიდა თავის თავს უძლიერეს მთავრობათ დედამიწის ზურგზე.

— არ გვინდა, თორემ მთელ ქვეყნიერებას დავიპყრობთ! — ამბობდენ მინისტრები.

— ბატონებო! — მიმართა მთავრობის თავმჯდომარემ თავის მინისტრებს, — დედამიწის ზურგზე უძლიერესი მთავრობა ჩვენა ვართ. ხომ მართალია?

— მართალია, მართალი! — გაისმა ხმები და მინისტრები ფეხზე წამოდგენ და თავმჯდომარეს ოვაცია გაუმართეს.

— ბატონო მინისტრებო, დადგა დრო, როცა ქართველი ხალხის სურვილი უნდა ასრულდეს, — უნდა დავიპყროთ მთელი დედამიწა.

უპირველესად საჭიროა დაპყრობა საბჭოთა ქვეყნების, რუსეთის აზერბეიჯანის და სომხეთის, და შემდეგ კი დავიპყრობთ სხვა ქვეყნებსაც.

— ვინა ხართ მომხრე ჩემი წინადადებისა? ყველა. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. — და თავმჯდომარემ მიიღო ნაპოლეონის პოზა.

მეორე დღეს გაჩაღდა ომი რუსეთთან, აზერბეიჯანთან და სომხეთთან.

— არ გვინდა ომი! — ყვიროდა ხალხი.

— როგორ თუ არ გინდათ! დაგხვრეტთ, ამოგწყვეტთ! — ბრძანებდა მთავრობა.

— ომი ომს! — გაისმა ხალხში და საქართველოს მოედვა აჯანყების ცეცხლი. მებრძოლი ხალხის რისხვა აქარიშხლდა.

— სად არის მთავრობა? მოგვეცით მთავრობა! — ყვიროდა ხალხი.

მთავრობა კი არსად სჩანდა.

— ავირჩიოთ ჩვენი მთავრობა" — იყო მოწოდება და 1921 ᲬᲔᲚᲡ, 25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ საქართველოში იშვა მშრომელთა მთავრობა.

— მერე და ის მთავრობა ველარ იპოვეს? — შეეკითხა მიხას კომკავშირელი ვანო.

— იპოვეს, როგორ არ იპოვეს! — წარმოსთქვა მიხომ, — როცა აჯანყებული ხალხი რისხვას უქადდა მოღალატე მთავრობას, ეს უკანასკნელი გაპარულიყო საქართველოდან და ერთა ლიგისათვის შეეფარებია თავი.

როცა ერთა ლიგა გარდაიცვალა, უპატრონოთ დარჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რამდენიმე ხანს მათხოვრობით ირჩენდა თავს და ბოლოს მანაც განუტევა სული.

— ნეტავ სად დამარხეს? — იკითხა ერთმა.

ამ შეკითხვაზე ყველამ ხარხარი დაიწყო.

— ცოცხალი არვის აინტერესებდა და მკვდარი რათ გაინტერესებს? — წარმოსთქვა მიხომ და დაუმატა — თქვენ არ გეგონოთ ეს ამბავი ზღაპარი იყოს; არა, ამხანაგებო, ჭინამდვილეა, რომელიც ჩემი თვალით მინახავს და ყურით გამიგონია.

ᲥᲣᲛᲑᲐᲠᲐ.

არზა „ტარტაროზს" მე-9 წელზე

(ᲐᲙᲠᲝᲡᲢᲘᲮᲘ)

სასიამოა ამ დღის ხსენება—
აელვარებულ მზიური შვებით;
ქარიშხლიანი გადაჭენება —
ალმოდებული წითელი დროშებით.
რიჟრაჟმა ამ დროს აქ თქვა თენება —
თალხი ზეწარი თავს აგვახია;
ვარდისფერ აფრის გაშლა ენება —
ეთერის ანძებს რომ აახვია.
ლამაზად მოსჩანს მისი შვენება—
ოაზისად რომ აქცია მხარე;
საქართველოსი ახლად შენება
განგაშს სცემს მტერსა დღეს მოხარხარეთ.
ალარა ორხავს ისე, ვით ძველად,
სანეტაროა, რომ ვმზერ მის უნარს.
აღმშენებლობა აქვს საფუძვლად
ბრძოლის ცეცხლში ჰქმნის დიად კომუნას.
ჭალარა იყო, ნორჩია ეხლა,
ოცდა ხუთიან თებერვლის რიცხვით.
ეკვეთა მტრებს და ურჩნი ამ შეხლას —
ბრაზმორეულნი უკეჟენ რისხვით.
იარაღად აქვს ხრული შეგნება—
სისხლით აბა ვინ დაალეთებს...
მარადიულად ექნება წინსვლად
ეხლანდელ დარტყმით რასაც აკეთებს.
ცეცხლი ედება ძველ ადათს, დაწვად,
ხმალს სცვლის ტრაქტორით სვლა კოლექტიური;
რევოლუციას უდგია დაცვად,
ეტყობა შრომა ყოველდღიური.
წლები მოლუნა ამაყ გუგუნით—
ეზღვენა მიწის გულს, უბერტყავს კალთებს;
ლახავს სიძნელეს ურჩ საუკუნით,
სიხარულის თქმით კოცონებს ანთებს.
ვინცა გვმტრობს: დაჰკა. ამ ჩვენს ზეიმზე
აი, „ტარტაროზ", დღეს ჩემი არხა,..
შენთან ერთად მეც დღეს მინათებს ზმე.—
აქ ვწყვეტ აკროსტიხს, ტარკორი:

ᲢᲐᲠᲖᲐᲜ.

თავდასხმა საქართველოზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავზე რომელიღაც (არა ჩვენსას) „კავალერიას“, თუ „არტილერიას“ მოუხდენია თავდასხმა ჩვენს რესპუბლიკაზე. გამოკვლევის მასალების მიხედვით შედგენილია მოხსენება, ალბად „სადღაც“ (იქნებ „დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის“ „მთავრობაში“) წარსადგენად. მოგვყავს მოხსენების ასლი.

სრული განადგურება“

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მრეწველობის ერთი სექტორი სავსებით განადგურებულია, სახელდობრ, განადგურებულია მრეწველობის კერძო სექტორი, რის გამო ყოფილი მწარმოებლები სულს ღაფავენ შიმშილით და ზოგმა უკვე დაღაფა ასეთი (იგულისხმება სული). მართალია, ყოფილ მრეწველთაგან თითო-ოროლა კიდევ არის მოკალათებული აქა-იქ სპეცებათ, ან შიკრიკებათ, მაგრამ იმ განადგურებასთან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაყენა კერძო სექტორს, ეს არის ნახევარი წვეთი ოკეანეში.

გაპარტახებულია აგრეთვე

კერძოდ სექტორი მთელ სავაჭრო სისტემაში. აქ ისეთი სურათია, რომ ოდნავად მომენშევიკო კაცსაც გული აუტირდება: კერძო ვაჭრები თითქმის სავსებით განდევნა კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ. 9 წლის თავისთვის დარჩენილია სამწახევარი ვაჭარი.

უნუგეშო სურათი

უნუგეშო სურათია საბჭოთა აპარატში: იმ ხალხს, რომელიც კიდევ სცემდა პატივს ძველ დროს და წყობილებას და რომელიც ოცნებობდა ძველი რეჟიმის დაბრუნებაზე, აპარატიდან აძევებენ. შიმოიღეს ახალი ხერხი— მუშათა ოაწინაურება

განადგურებული ფრონტი

სავსებით და მთლიანად განადგურებულია მენშევიზმის ფრონტი, რომელიც ოდესღაც სამფეროვან დროშის ფრიალით შიიხიზნა კაპიტალიზმის ალაყაფის კარებს, სადაც მენშევიზმის იდეოლოგები ახლაც არიან ატუზული და ნერწყვს ყლაპავენ იმ მწვადების მოგონებით, რომლებითაც ისინი, უხვად უმასპინძლდებოდენ საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ენერლებს, ევროპის სოციალ-ფაშისტებს და სხვებს. მენშევიზმთან ერთად დავიწყებას მიეცა ის მრავალი მიმდინარეობანი, რომლებიც საერთოდ მიმდინარეობდენ კაპიტალისტური წყობილების აღდგენა- შენარჩუნებისაკენ.



ახლავე ზომები...

9 წლის თავზე საბჭოთა საქართველომ მიაღწია იმას, რომ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით დააყენა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევა— დამუშავების საქმე და თუ ახლავე არ იქნა ზომები მიღებული, სამთო-მადნის მრეწველობა გაიშლება მთელი სიგრძე-სიგანით, დამატებით ამუშავებდა რამოდენიმე დიდი ჰიდრო-სადგური და უამრავი ფაბრიკა-ქარხნები.

გაპარტახებული ეზოები

გამოკვლევა ნათელჰყოფს იმ გაპარტახებას, რომელიც თვალში გეცემა სოფლად--კულაკურ მეურნეობაში: მთლიან კოლექტივიზაციას, რომელსაც მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობა ატარებს ბოლშევიკების წაქეზებით, გამოუწვია კულაკის, როგორც კლასის სიკვდილის პირამდე მიყვანა, მთელი ეზოების (მაშასადამე მეურნეობების) გაერთიანება და კულაკის ჯერ უნახავი შევიწროება. გლეხობა ისე გაგიჟებულა, რომ მასიურად მიილტვის კოლექტივებში. თავის მხრივ, ქალაქის მუშებს ისე დაუკარგავთ გონება, რომ სოფლად რაც მიწები აქვსთ, ყველა კოლექტივებში შეაქვთ და თითონაც დიდის ამბით ეხმარებიან გლეხებს კოლექტივიზაციის გატარებაში.

ახალი გამოგონებები

მუშებმა გამოიგონეს მრავალი ახალი რამ: სოც. შეჯიბრება, დამკვრელობა, ენტუზიაზმი, აღტყინება და სხვა ათასი რაღაც, რაც ყველათერი ერთ მიზანს ინდუსტრიალიზაცია — კოლექტივიზაციას ემსახურება.

გვიშველეთ!

ერთი სიტყვით, ბატონო მინისტრებო, სანამ ჯვიან არ არის გვიშველეთ, თორემ სანამ თქვენ მიხვალთ, ეს ბოლშევიკები აქ სოციალიზმს დაამყარებენ და მერე ოყარეთ კაკალი“.

ასლი დედებთან სწორია:

ლახვარი.

შვილის წერილი

ემიგრანტ მამას

აგერ ცხრა წელმა განვლო მას შემდეგ,
რაც საქართველოს მოშორდი, მამა,
და ცხრა წელია არ ფიქრობ ჩვენზე —
თუ გვინდა ჩაცმა, ხმა და ან ჭამა.
ჩემი დედიკო და შენი ცოლი
დაბერდა, შრომა არ ძალუძს, არა;
ჩემმა დამ, თინამ, მონახა ტოლი
და მეც უდროოდ გავხდი პალარა.
შენს წასვლის შემდეგ აქ ბევრი რამე
გამოიცვალა ადათი, წესი;
(შენ მოგონებით ათენებ ღამეს,
აქ კი მშრომელმა შექმნა ზამესი).
ეკლესიები გადიქცა კლუბათ
და მღვდლებმა კიდევ გაიძვრეს კაბა;
ჩამოსაგდებათ „სობოროს" გუმბათს
მშრომელმა თოკი მაგრად ჩააბა.
მოშენეს ყველგან კოლექტივები,
გაერთიანდა მთელი სოფელი;
აქ მძლავრად ბრწყინავს შვების სხივები
და ხედავს ყველა ჭკუათ მყოფელი.
მეც გადავსწყვიტე, ყოფილო მამა,
ალარ გიწოდო აწი მშობელი,
იყავი მანდ და ილრინე მანამ,
სანამ არ გახდე „ქვეყნის მპყრობელი".
ჩემი ქონება, სოფლად რომ მქონდა
კოლექტივს მივეც უკლებლივ ყველა,
(დედას კი, ოდეს შენ რომ მოგწონდა,
ალარ უნდიხარ, ისე დაგწყევლა).
ცხრაწელმა განვლო, ამდენი ხანი;
ჭკუის სასწავლოდ არ გეყო, არა!
შენი მამობა, დავრწმუნდი, ვსცანი
მე ალარ მინდა, მეყოფა, კმარა.

შინაური.

კულაკების წერილი ჟორდანიას

ნოე ბატონო!

დაგვტოვე უპატრონო, ცხრა წელია იმედებით გვრთავდი. შენ კი აქედან წაღებულ ქონებას ხრავდი, წიგნებს თხზავდი და ჩვენც აქ ათას რამეს ვრთავდით — ამა, დღეს თუ ხვალ მოვა, მალე დაგვიხსნის ყველას: კულაკს, ვაჭარს და ბერსა.

ნოე დიდი — ყოფილხარ ფლიდი, აი გიდი, ბოლშევიკებმა რა დღე გვიყო, ის ალარ არის, რაც. ცხრა წლის წინათ იყო. ჩვენი განკულაკება მოხდა და ჩვენს ქონებაზე წამოსკუპდა კოხტად მოჯამაგირე; ჩვენ ამოგვდეს კავი, და ეხლა არ ვიცი ვის შევაფარო თავი. აქ არავინ ალარ დაგვრჩენია. ისევ გვაქვს იმედი შენია, მოაწყვე ხრიკები და გაგვადევნე ეს ბოლშევიკები, დავანგრიოთ კოლექტივი და ჩავუქროთ მშრომელთ სხივი.

ნოეს პასუხი

დათო!

გავიგე რაც მოგიწერია, ბოლშევიკები რომ ჩვენი მტერია, ეს ამბავი ძველია, აგერ ცხრა წელია;

ქარუმიძეს დავამზადებიე ყალბი ჩერვონცია, მაგრამ დაერხა ბეცია, 9 წლის წინათ მაქედან ამიტომ გავიქეცია, რომ მშრომელ ხალხში ალარ მქონდა ნდობა. მართალია თქვენთან დავიწყე ძმობა, ალგითქვი დახმარება გამეწია, მგრამ შენც ქე იცი რა მეწვია, შენ გიშველო კი არა, ჩვენთვის ვერ მიშველია, ბურჟუებს გავუხდით ლაქია, მელია, ნოე რამიშვილიც ჩემსავით შეწუხებულია, მაგრამ მაინც მოკითხვა; შენი ნოე წყალწაღებულია.

ივანიკა.

ჩემი თვალით ნახული

(მოგონება)

— „ჩვენი მთავრობა თბილისიდან გამორბის". — გავარდა ხმა ხარაგოულში 1921 წ. თებერვლის ბოლო რიცხვებში.

მართლაც ერთ (მენშევიკებისათვის დაწყევლილ და გამანადგურებელ) დღეს, დღის 12 საათზე ხარაგოულის სადგურს დიდის ქშენით მოადგა მენშევიკების მთავრობის მატარებელი, რომლიდანაც ყველაზე ბოლოს დინჯად ჩამოვიდა ნოე რამიშვილი.

ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ, ერთმა მაყურებელთაგანმა მოიკრიბა ძალღონე და გაბედული შეკითხვით მიმართა ნოეს:

— ბატონო ნოე, რას გვეტყვი ახალს? რით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი გვარდიელები გამორბიან პოზიციებიდან?

— ნუ გეშინიათ, გამორბიან, მაგრამ მალე ყველას ჩამოვკიდებთ ძალლსავით სალრჩობელაზე: — უპასუხა ნოემ თავისებური სიდინჯით.

— კარგი დაგემართოს, ეს კარგი საქმეა, მაგრამ თქვენ მიბრძანდებით და ვინღა ჩამოკიდებს? კომუნისტები მათ მადლობასაც ეტყვიან! — ისევ შეეკითხა ნოეს მოსაუბრე.

— მართალია, მივდივართ, მაგრამ ამ პატარა ხანში ისევ აქ ვიქნებით, თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ. ევგენი საზღვარგარეთ იყო და იქ ისე მოაგვარა საქმეები, რომ დიდი—დიდი ჩვენ 5—6 დღე დავყოთ იქ, სადაც მივდივართ. დაბრუნებისთანავე შევუდგებით სახრჩობელების აგებას, რომლებზედაც ჩამოვკიდებთ ყველა მოლალატეებს.

— ნუგეში ღმერთმა ნუ მოგიშალოს! — უპასუხა მოსაუბრემ.

როგორც ვხედავთ თავისი დატოვებული ანდერძი მტკიცეთ ვერ შეასრულა „ღრმად პატივცემულმა" ნოემ.

სანდრო.



— ქარუმიძე გიახლათ, ქართველი ემიგრანტი. მივიღო თუ არა?

დეტერდინგი: ბლომად მოიტანა?

პოლიკარპე

— ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, ბატონებო, სოციალისტურ რევოლიუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ჯერ არ არის შესაფერი. ბოლშევიკების ანარქია რუსეთში მალე დაიღუპება.— წინასწარმეტყველობდა პოლიკარპე საქართველოს „აჯაფ სანდალის ოაზისის“ პერიოდში. მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის ერთმა ტალღამ საქართველოს მოლაყბე დამფუძნებელი კრება საპნის ბუშტივით ჰაერში გაფანტა და ამიერ-კავკასიასთან ერთად საქართველოს გასაბჭოებაც ფაქტად აქცია.

— როგორი შეხედულების ხართ სოციალისტურ რევოლიუციაზე? პროლეტარიატის დიქტატურაზე? ობიექტიურად და სუბიექტიურად ყოფილა ნიადაგი მომზადებული, თუ არა?— შეეკითხე პოლიკარპეს საქართველოს გასაბჭოების წლის თავზე.

— სუბიექტიური პირობები მომზადებული რომ არ ყოფილიყო, ისე მუშათა კლასი ასეთ ღიდ გამარჯვებებს ვერ მიაღწევდა. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ობიექტიური პირობები ასეთი რევოლიუციისათვის და მით უმეტეს პროლეტარიატის დიქტატურისათვის მომზადებული არ არის. არ შეუძლია მუშათა კლასს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ქვეყნის მოვლა-პატრონობა და საბოლოოდ ძალაუფლების შენარჩუნება. როდის ჰქონდა მას ამის შნო და უნარი? ამისათვის ბურჟუაზია არსებობს. ამიტომ მე მაინც ჩემ ძველ პოზიციებზე ვდგევარ.— მითხრა, რაღაც „იმედების“ მოლოდინში გახვეულმა პოლიკარპემ და გამშორდა.

მას შემდეგ გავიდა კარგი ხანი და პოლიკარპეს აღარ შევხვედრილვარ. ამ დღესასწაულზე პოლიკარპეს შევხდი. საწყალი წელში მოხრილიყო, ცხვირი ძირს დაეშვა, მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ მთელი სხეული უკაცრაცხებდა. წინეთ მჭეჭარე ხმა ჩახრიწიანებოდა. მის დანახვაზე დამზღვევი სალაროს ეჭიმებიც შეატყობდა, რომ ის შეპყრობილი იყო ნეოკასტენიის და ისტერიის მძიმე ფორმებით. მივედი და მისალმების შემდეგ შეეკითხე:

— როგორ ატყობ, პოლიკარპე, ამ ზღვა ხალხის ენტუზიაზმი, და ის მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს, საქართველოს გასაბჭოების მე-8 წლის თავზე, ხომ ამტკიცებს, რომ სოციალისტურ რევოლიუციისათვის და პროლეტარიატის დიქტატურისათვის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები მომზადებული ყოფილა?

— რომ მიღწევები ბევრი გვაქვს, ამის უარისყოფა აღარ შეიძლება, რომ მუშათა კლასს შესძლებია ქვეყნის მართვა-გამგეობა და უკეთესად ვინემ სხვა,— ამის უარყოფაც აღარ შეიძლება. მაგრამ... გლეხური მეურნეობის საკითხი ყველაზე უფრო სერიოზული საკითხია რევოლიუციაში და აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ჯერ კიდევ არ არის მომზადილი ობიექტიური და სუბიექტიური პირობები სოციალისტურ რევოლუციისათვის და პროლეტარიატის დიქტატურისათვის. —სთქვა პოლიკარპემ, თუმცა ახლა უკვე აშკარად ემჩნეოდა უიმედობა.

წელს, საქართველოს გასაბჭოების 9 წლის თავზე, პოლიკარპეს შეიხვდი და დანახვისთანავე მომაძახა:

— არ გიკვირს, კაცო, როგორ გადაირია გლეხობა?

— რა იყო, პოლიკარპე! რაშია საქმე?—განგებ შეეკითხე მე.

— სოფელში, კაცო, რაღაც ერთი ორ-სართულიანი სახლი მჭონდა, რაღაც რამოდენიმე დესეტინა ბაღი და სახნავ-სათესი მიწები; საქონელიც მყავდა; მთელი ეს ჩემი ქონება კი არ წაუღია კოლექტივებს? ეს არის საქმე?

— შე კაი კაცო, წავიდოდი და მოვიკითხავდი, ვეპატრონებოდი! განგებ ვურჩიე მე.

— ვიყავი, მაგრამ ვაი ასეთ ყოფნას. იქ ნამდვილი რევოლიუცია დამხვდა. მთელი სოფელი, რაიონი, ოლქი გადასულა მთლიან კოლექტივიზაციაზე და... და კუდით ქვა მასროლიეს, ძლივს გამოვასწარი!

— მართლა? აბა ეხლა პოლიკარპე, ჩემო დამერწმუნები, რომ სოციალისტურ რევოლიუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები მომზადებული ყოფილა.

— მართლაც, რომ ყოფილა! მორცხვად ჩაილაპარაკა მან.

ტოქსინი.

„ფერმერი“

ბენ. კვინიტაძე:—ჩვენი იმედის დამყავება მე მაინც სასარგებლოდ გამოვიყენე — რძეს მშვენიერად ვამყავებ და საუცხოვო მაწონს ვაკეთებ.

სადღეისო ღიღინი

ეხლა გვმართებს
ღიღინი,
სიმღერა და
თამაში;
ბრიყვი არის
იგ.ნი
ვინც დაგვძრახავს
ძველი ყველა
ინგრევა
ვლგებით
ახალ ხანაში!
კოლექტ.ვიზაცია
მოდის ჩვენს
ქვეყანაში.
(მალე
მთელი სოფელი
ერთად წავალთ
ყანაში).

———

ყველამ ვიცით,
გვსმენია,
საქმით,
საუბარითა—
შრომას ხვავი
არა აქვს
თ. ..ითა და
ზარითა.
თუ გინდ თავი
მო.კლა
მუშაობით
ცხარითა,
ტრაქტორს
ვერ დაეწევი
დალრეკილი
ხარითა.
(კოლექტივიზაც.ას
ამოუდგეთ
მხარითა).

———

არ გვჭირია
ამისთვის
დ.დი
აგიტაცია;
კერძო შრომას
ვიცით ხჯობს
კოლექივიზაცია.
მ. ..ობას
ოს..ლის
ვინც რომ დღეს
ზარმაცია...
კულაკების ქონებაც
დროზე
მოსატაცია.
და ვისაც ეს
არ მოსწონს—
იგი
რაღა კაცი.ა?!

ხათაბალელი.

ლევარსის გამოგონება

ლევარსი როხროხაძე, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მენშევიკების დროს გვარდიელი იყო და დიდი პატრიოტი.

ჩვენ ამ წერილის წერის დროს ხელთა გვაქვს მისი დღიური, სადაც სწერია:

„ზარბაზანი, თუ მოხვდა მიზანს, უფრო ჰკლავს კაცს, ვიდრე თოფი. (დაცულია ლევარსის მართლწერა); **ამიტომ, საჭიროა არტილერია. ქართველი პატრიოტი მეომარი უნდა იყოს დაინტერესებული ჩვენს სამხედრო გაძლიერებაში... მე გამოვიგონე ახალი ზარბაზანი, რომელიც გაკეთებულია ხისაგან. ამის უპირატესობა იმაშია, რომ იაფი ჯდება (ტყე ბევრია ჩვენში) და ადგილობრივად თითქმის ყოველ დურგალს შეუძლია მისი გაკეთება“.**



ლევარსიმ თავისი ხის ზარბაზანი დადგა მაღლობზე და მოიწვია ექსპერტი, რომელსაც უნდა შეემოწმებინა ლევარსის გამოგონება.

მოიტანეს მდ. ბეჟის ნაპირებიდან ქვები, რომლითაც გატენეს ლევარსის ზარბაზანი.

ლევარსიმ გაისროლა ქვით გატენილი ხის ზარბაზანი და....

ახლოს მდგომი უამრავი ხალხი დაასახიჩრა ნაფოტებად ქცეულმა ლევარსის ხის ზარბაზანიდან აფეთქებულმა ქვებმა.

ლევარსი სიამოვნებით დასცქეროდა მინდვრად დასახიჩრებულთ და აღტაცებით ამბობდა:

— აქ, რომ ამდენი ხალხი დასწყვიტა ამ ჩემმა ზარ-



ბაზანმა, იქ, მტრის ბანაკში ხომ ყველაფერს გაანადგურებდა?!

ზმუკი.

მზად ვართ!

მაშ, ასე, ვიწყებ:
ვერ დავივიწყებ,
დავიწყებისაც
რომ ვიყვე მდგომი,
როცა ჩინეთმაც
დაგვიწყო ომი....
ომიც, რა ომი?
ნუ მძრახავთ თქმაში;
ვის ეჭირვება,
რომ ხელი ომაში
ჩაჰკიდო ჩინელს
და მქონრო თავით?
შენ მზად ხარ იმას
მოშორდე ზავით!
ეპატიჟები
მშვიდ სამსჯავროზე!
ის კი მიგიწვევს
ბრძოლის მინდორზე,
და თუმც ამისი
არც შესწევს ძალი,
მას ხელში მაინც
უელავს ხმალი!
რას იზამთ? კაცი
რომ აგიტყდება,
მაშინ ისეთი
ამბავიც ხდება
და იწერება
ისტორიაში,
რაც ჩინეთის ჯარს
მანჯურიაში
წაჰკიდა ჩვენმა
წითელმა ჯარმა!
ეს იყო ბრძოლის
ისეთი სარმა,
რისხვის ისეთი
გახშაურება,
რომ მან მთლად შესძრა
იქაურობა!..
და მოჰყვა ამას
იგი ამბავიც,
რომ შესძრა ამან
ჩინური თავიც!
(რა ჩიშურ კედლის
მიუვალობა
მოსტეხა წითელ
ტყვიის გალობამ!)
სცნა, რომ უმტყუნა
ჩინს ანგარიშმა
და თან, რუვეისგან
გულს შთამხდარ შიშმა
ყალყს რომ დაუსო
ბალანი თავზე,
ამ წუთში ისიც
დასთანხმდა ზავზე!..
დე, ჩან-კაიშევ ს
ეს უხაროდეს:
„სჯობია გვიან,
ვიდრე აროდეს?!..
თუმც კი დღეს ბევრმა
არ იცის იგი!
წაუშვერია
ლორივით დინგი:
ვინ კუტემოვის
სთხზავს ისტორიას,
ვინ ცრუ საბუთით
იწყებს ფორიაქს,
ვინ ჩერვონცები
დაბეჭდა ყალბი,
ვინ ენით საქმობს,
ვინ—ფანქრით, კალმით
იკლებს წითელ ზღვრებს
ქქითა მუხურს...

„საქართველოს დელეგაცია“!

აკაკი ჩხენკელი პარიზის ერთ-ერთ განაპირა ქუჩაში აგებულ სასტუმროს კარებში ქორივით შევარდა და მხიარულად დაიძახა:

— ლიფტი ჩქარა!

— სამი თვეა, რაც ნომრის ფული ერთი კაპიკი არ გადაუხდიათ მაგას და მაგის ამხანაგებს და კიდევ ლიფტით მოითხოვს მაღლა აბრძანებას —გაიფიქრა მეკარემ, მაგრამ ჩხენკელის მტკიცე კილომ საშუალება არ მისცა მისი განკარგულების შეუსრულებლობის.

ნოე რამიშვილს ლოგინზე კარტი გაეშალა და მკითხაობდა:

— წავლენ...

— არ წავლენ...

— კი წავლენ...

— ჯერ მაინც არ მიდიან.

— გვიან მაინც წავლენ.

— არა. გათავებულია. მიდიან.

ის თავის თავთან საუბრობდა, ამ დროს ლოგინზე პიკის ექვსიანი დავარდა.

— შორი გზა... **სახაზინო სახლი..**

— ჩურჩულებდა ის: —ჰმ, სახაზინო სახლი ჩეკას ხომ არ ნიშნავს?

უეცრად კარი გაიღო და ოთახში ჩხენკელი შემოვარდა და დაიძახა:

— ბლანკები, ჩქარა! ჩქარა, ბლანკები, ბეჭედი მოიტა.

— რა მოგივიდა კაცო; მოიცა, ჩაი დაგვლიოთ, რა გებლანკება, — უპასუხა რამიშვილმა.

— ჩაი რა არის; მალე სულ კონიაკები და შამპანიური გვექნება. — ცუბნებოდა ჩხენკელი და თან ბლანკზე სწერდა: „სუვერენულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და სრულიად საქართველოს დემოკრატიის სახელით“..

ეხ... მეცხრე წელიწადია, რაც შენ აგრე მაიმედებ, მაგრამ არაფერი გამოდის. სკეპტიკურად ჩაილაპარაკა ჟორდანიამ.

— ევროპის სახელმწიფოები გვპირდებიან, პატიოსანი სიტყვა მომცეს:

— კიდეც შეასრულეს, ვაშა, ვაშა! საქართველოში აჯანყებაა. ტფილისი ალებულია, შეკარით ბარგი-ბარხანა; ეხლავე უნდა წავიდეთ, —დაიძახა ამ დროს ოთახში დაბრუნებულმა წერეთელმა და სიხარულის ნიშნად ქუდი ჭერში შეაგდო.

— სად უნდა წავიდეთ, — პირდაპირ ტფილისში თუ ბათომში? — შეეკითხა ეგენი გეგეჭკორი.

— ჟენევაში, ერთა ლიგაში.

წასასვლელად მზადება დაიწყეს.

—:—

— თეთრი ხელთათმანი ჩაიცვი, მთავრობის წარმომადგენელი ხარ,— უთხრა წერეთელმა ჩხენკელს.

— ძველია. ნავთის სუნით ყარს.

— საუცხოვოა, დიდებულია, ნავთის სუნი ყველაზე უფრო საყვარელი სუნია ერთა ლიგისათვის.

— მე რა ვუყო, რომ ხელთათმანი არა მაქვს, საქართველოში საპირფარეშოში შესვლის დროსაც კი ხელთათმანს ვიცვამდი.... ნაღვლიანი წარმოსთქვა ევგენი გეგეჭკორმა.

— არაფერი გიჭირს, არც მე მაქვს, —გაამხნევა წერეთელმა.

— შენ დემოკრატიის წარმომადგენილი ხარ.

— მოიცა, მოიცა, დაჯექი. იატაკზე დაჯექი, წაიღუნე, არა, ოთხად მოიკეცე. აგრე. — უთხრა ჩხენკელმა წერეთელს, რომელიც ჯერ იატაკზე გაიშხლართა, შემდეგ მუხლები მოიკეცა და იდაყვებზე დაეყრდნო. ჩხენკელმა მას გვერდით „პრიმუსი“ მიუდგა და იქიდან ჰაერის გამოქაჩვას შეუდგა. მალე პრიმუსიდან ნავთმა გამოსჩქეფა. ჩხენკელმა ნავთი წერეთელს მიუშვირა.

— ამეწვა, არ მინდა! გამიშვით!.. —ყვიროდა წერეთელი, რომლის ზურგზე ნავთს შხაფა - შხუფი გაჰქონდა, მაგრამ მისი განძრევა შეუძლებელი იყო, რადგან მისთვის გეგეჭკორს კანჭებში ხელი წაევლო და რამიშვილი კი ბეჭზე დასწოლოდა.

როცა ერთი გვერდი უკვე ნავთით გაეწუწა, შემდეგ მეორე გვერდზე გადააბრუნეს.

— რას ჩადიხართ, რას მიშვებით, თქვე უსვინდისოებო,—ღმუოდა საცოდავათ წერეთელი.

— საცვლები გამიფუჭეთ. ლუკანასქელი საცვალი... ვაიმე ჩემო საცვლებო.

— საცვლებს კი არა საუკეთესო ტანსაცმელს გიშოვით, როგორ არ იცი, რომ საკმარისია ერთი ლიგას ნავთის სუნი ეცეს, და ის არავითარ ხარჯებს არ მოერიდება, — ანუგეშეს ის სადგურისაკენ გამგზავრების დროს.

—:—

— ბატონო, ჩვენ უნდა მოვეხმაროთ ამ მშვენიერ ხალხს: უნდა განვათავისუფლოთ საქართველო ბოლშევიკებისაგან, — პათეტიურად განაცხადა ერთა ლიგის სხდომაზე მცარ...ელსონმა: — ეს წარმტაცი ქვეყანა პალესტინაში მდებარეობს, სამოთხის მხარეში.

— საქართველო კავკასიაშია, იქ, სადაც ბაქოს ნავთია, და არა სამოთხის ქვეყანაში, — შენიშნა მდივანმა.

— სულ ერთია, ყველგან სამოთხეა, სადაც კი ნავთია, — გამოაკეთა მცარცველსონმა.

— ამ დროს ლიგის დარბაზში „საქართველოს დელეგაცია“ შემოვიდა.

— ტფილისი მართლა აიღეთ? — კითხა ისპანეთის წარმომადგენელმა დონ ჩიყვიანმა.

— აღებული უნდა იყოს, სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, — სხარტად უპასუხა ჩხენკელმა. ნავთი, შავიქვა, ყველაფერი გვაქვს. შეხედეთ ჩვენი პარლამენტის წარმომადგენელს, სულ ნავთის სუნით არის გაჟღენთილი, დააკვირდით რა საამური სუნია.

ერთა ლიგის წევრებმა წერეთელს ხელად ალყა შემოარტყეს, ნესტოები დაბერეს, და ხარბად დაიწყეს მისი საცვლებიდან ადენილ ნავთის სუნის სუნის ყნოსვა.

— რა საუცხოვო სუნია, რა დამატკბობელია, დავიხსნათ ეს მშვენიერი ქვეყანა. ღვინით შეზარხოშებულივით დაიძახა საფრანგეთის წარმომადგენელმა **ხმადექარიანმა.**

— დავიხსნათ, დავიხსნათ, —უდასტურებდა მცარცველსონი, მაგრამ ამ დროს დარბაზში იტალიელი გრაფი ყურიგძელი შემოვიდა და დაიძახა:

— არავითარი აჯანყება არ ყოფილა... საქართველოში სრული სიწყნარეა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

—:—

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთა ლიგამ გადასწყვიტა, რომ თავი შეეკავებია სხვის საქმეში ჩარევისაგან, და იმავე დროს ლოიდ მცარცველსონის წინადადებით ერთხმად დაადგინა წერეთლისათვის დახმარების მიცემა ახალი საცვლების შესაძენათ.

პატი.

ყველას, ეტყობა,
რომ ზურგი უხურს
და ეხეხერზე
მოიწევს მჯიღით!..
თქვენ კი სდგეხართ და
ულვაში გიღიმთ:
„ეს ხალხი რა ჭკვის
ან რა რჯულისა?!“
და გაგონდებათ
თქვენ მანჯურია,
წითელი ჯარით
ზვრებ-გაქარული!
შერე—მტერს ზურგში
ერთი პანღური!
და გატყდა ისე
თმა-გრძელი თავი,
რომ გაჰკიოდა:
„ვაი და ვაი“!
ასეთივეა
ხვალის ფინალიც:
მტერი, რა გინდა
ჩნდეს მარჯინალიც.
ჩვენ მაინც რწმენით
გავსცქერით ხვალეს,
რომ მტრებს ჩინეთზეც
ბევრად უარესს
წაჰკიდებს ჩვენი
წითელი ჯარი,
ვინც შრომის მცველად
მუდამ მზად არი!..

ჰაზირა.

„იშპილიდან დავარდნილი"

წმინდა — თეთრი გიორგი: ეჰხ! ისე დავჩაჩანაკდი ამ ცხრა წლის განმავლობაში, რომ ჩემი რაში სოლომონ მორბელაძის ჯაბრიკას დაემსგავსა.

ბრმის მეძღველობა

— აკი ვამბობდით, რომ კომუნისტები საქართველო-ში ყველაფერს ანგრევენ?!

„ინდაური“

ბოლშევიკების შემოსვლამ ტფილისში მელქოს ცივა-ცხელება დაუწყებინა. არმათ ქონდათ შეძენილი ქონება და ეგონათ, რომ... თვალ-მარგალიტებსაც კი ჩამოართმევენ.

— ეს, ძვირფასი ალმასი და ბრილიანტი მაინც გადავარჩინო,— დარბოდა მელქო,— დედაშობილა რო დამსვან ბოლშევიკებმა, ეს განძი მაინც გამომადგება მერე, თითო ასორასი თუმანი მაინც ღირს. ამ თანხით მერე დუქანი შეიძლება გავხსნა!

—:—

— მიწაში ჩავფლათ, ჭერის კედელში მივმალოთ, — შიშობდა აგრეთვე მისი ცოლი მაკო,— „ობისკი“ რომ გვიყონ, რას გაიგებენ.

— ჰმ, შენ ეგრე გონია. ისეთი „სისკონოი“ ძაღლები ჰყავთ თურმე, რომ ნეშის კუნწიც არ დაემალებათ. განა შენი ცხვირი და ჩემი ცხვირის პატრონები არიან!

— მაშ რა უნდა ვქნათ?

— ის უნდა ვქნათ, რომ... ერთი ინდაური უნდა ვიშოვო და იმას ჩავაყლაპოთ ეს თვალმარგალიტი...

— კი, მაგრამ რო გასკინტლოს?

— ვა, გარეთ ხომ არ გვეყოლება. სახლში იქნება და!

— დაეაბათ, მაგრამ არავინ მოგვპაროს. — თანაც გაეუხუმრა მაკო: —ძალიან „ხიტრი“ კაცი ხარ, ვინც არ გიცნობს. ათასი ბოლშევიკიც რო მოვიდეს, შენთან ვერას გახდებიან!

— მე მასხარობისათვის არა მცალია. წადი შენ ჩქარა და ინდაური მიშოვე. ვერა ხედამ აგერ ბოლშევიკები „ობისკს“ არტყამენ?

—:—

მაკომაც ხელად მოარბენინა ინდაური.

ლაბუა ინდაური იყო. ცალფეხზე ნიშან-შებმული...

— ვა, ეგრე მალე სად იყიდე? რა მიეცი?

— რა ვიცი, ვილაც მაწანწალა შემხვდა... ათი შაური და ერთი მანეთი მივეცი.

— ჰაჰ, მოპარული იქნება!

— შენ ხილი ჭამე; მეგაღეს რას დაეძებ.

— „მალადეც“, ეხლა პატარა ცომი მომიმზადე და ერთათ ვაყლაპოთ.

— „სააღდგომოთ“ დავკლათ და...

— აი, ვაცხონე მამაშენი.

თქმა და ასრულება ერთი იყო: აყლაპეს ალმასი და ბრილიანტი.

—:—

დიდ ხანსაც არ გაუვლია, რომ ამ კრიჟანგების კარ-წინ გაჩნდენ მილიციონერი და ვილაც ბეჩავი დედაკაცი.

მელქოსა და მაკოს ფერი ეცვალათ. შეკრთენ... სწორეთ ამ დროს ინდაურმაც მორთო ხმაური.

— უი, ქა, ჩემი ინდაურია, ჩემი! —გაუხარდა დედაკაცს და დაუწყო კიდეც კრიჟანგებს დავა: — ქა, არა გრცხვენიათ, სულ არამ ლუკმით უნდა იტენებოდეთ? რაღა მე მომწახეთ ქვრივ-ოხერი. გამომიყვათ ჩემი ინდაური ეხლავე, თორემ...

— ვა! რას „სკანდალობ“?, ხომ არ მოგვეპარია, ვიყიდეთ... ერთი ორათ, ერთი - სამათ წაიღე მაგის ფასი. რა გაჩხუბებს?!

— ეს ინდაური უნდა დაუბრუნდეს პატრონს. თუ გაპყიდის, ეგ მაგის ნებაა!— ამბობდა მილიციელი.

— რა მოგცე, დედი, მომყიდე...

— უი, შენ თვალებს, შენთვის არ ვასჯეებდი.

— ამაზე სუქანს სხვას იყიდი... აიღე ორი მანეთი... ჰა, სამი მანეთი.

— არც ხუთათ მოგცემ.

— არც თუმნათ?

— რა დროს მასხოროაბაა, გამოიყვა ჩქარა და მიეცი ეგ ინდაური პატრონს!— გაცხარდა მილიციელი.

— დედი-ჯან, მოგცემ, მაგრამ უჩემოთ არ დაკლათ! — ბუზღუნებდა მელქო.

—:—

დედაკაცმა წაიყვანა თავისი ლაბუა ინდაური თვალმარგალიტით.

— არა უშავს რა, ჩემო მაკო,— ანუგეშებდა მელქო თავის ცოლს,— დე წაიყვანოს, ხვალვე გამოვისყიდი, ფულის საქმე არ არის!

— ფიხს დაიჭერს, არ მოგვყიდის, —გოდებდა მაკო, — მგონი გაგვიგო კუდიანობა.

— ვა, ცეცხლია, რაღა!

ვან-დუშ

„მთავროგბის“ სხდომა

— ამგვარად, ქარუმიძემ ჩვენ იმედი ვერ გაგვი მართლა, ჩერვონცების საქმე ჩაფლავდა. დავრჩით უფლავოთ. გადავდივარ შემდეგ მთავარ საკითხზე: ვის ვეს ტუმროთ დღეს სადილზე?



„დიდი ნოე: — ეს მეცხრე მძივიც გადაითვალა, ნეტა ვიცოდე —რა გველის „ხვალა“?.

პატარა ნოე: — მძივნი ალბად მთლად გადაითვლება, ჩვენი იმედიც გარდაიცვლება.

რეპლიკა

მისამართის გამოცვლა

სადგ. ქარელი. ამ სადგურში ყველაფერი საქმე ხდება უკულმართი: უფროსმა და თანაშემწემ გამოსცვალეს მისამართი. ვისაც უნდა მათი ნახვა, აქ სადგურში არ იკითხონ,— ჯანიაშვილის სამიკიტნოს მიაკითხონ, იქ ნახავენ, რომ ხუხავენ.

შარი-შური.

„დაჩაგრულთა“ მწყალობელი

ზედა-საზანო (ქუთ. ოლ.). კულაკებმა და ვაჭრებმა ჩამოჰყარეს ყური. მოისაწყლეს თავი: „არ გვაქვს ლუკმა პური“... აღმასკომის თავმჯდომარემ **ჩუბინიძე მაანამ,** ვერ მოისვენა მანამ, სანამ სიმინდი იმათ არ გაუნაწილა. ღარიბ გლეხს კი უკან გაატანა ცარიელი ქილა. (რა ჰქნას თავმჯდომარემ, თქვენ გვითხარით ბარემ! კაცი არის მეტისმეტად მწყალობელი და კეთილი... ნეტა ჭკუას თუ ასწავლის მას ეს ჩვენი გაკვეთილი?!)

პილპილაძე.

თგილი გუდე

ჭუთაისი. ტექსტილტორგის გამგე პეტრე ცქრიალობს ვით ვერცხლის წყალი, გაძვრება და გამოძვრება უხილავი როგორც ალი. ვერ დაიჭერთ, რომ გადასცეთ მას ქარხკომის გრძელი სია. (აღარ ვიცით, ეს გამგისგან სადაური სინდისია).

აქვე ნოქრად ვინ არ იცნობს, „ჩვენი ძია“ ნესტორია. რასაც ვიტყვით ჩვენ იმაზე სინამდვილე და სწორია: მრავალი ჰყავს ნათესავი ძმა-ბიჭი თუ ამხანაგი; ნესტორს მათთვის ყოველთვის აქვს ფართალი და სხვა ხორაგი.

ბახჩო.

ხარჩოს მოყვარული

ჩოხატაური. (ს. გორაბერეჟოული). გერმანეს რომ მოენატრა საცივი და ცხელი ღომი,ადგა ღამით და მეზობელს გაუტეხა მან ბოქლომი. რა არ ნახა შიგ გერმანემ: აქ საცივი, იქ კი—ხარჩო. მიადგა და სჭამა ხარბად მასპინძელის მთელი სარჩო და გაძღომამ ის კინაღამ გამობერა და დაახრჩო. გაიგეს და... ფეხზე დადგა მთელი აგროტეხნიკუმი... და იმართლა თავი ასე: „ვერ შევსჭამე, იყო უმი“.

ქოჩორა.

„დირრრექტორრრი“

ბორჯომი. მინის ქარხნის დირექტორი (ეგანოვი გვარად) მგელი არის, მაგრამ თავი... თავი მოაქვს ცხვარად. ქარხნის მუშებს ეს „ბატონი“ სცემს ყოველთვის თავზარს; ბიუროკრატს ვერსად ნახავთ მასზე დიდს და საზარს. მუშა-გამომგონებლებსა, ის დასცინის: „ხა-ხა-ხა-ხა“ (მუშ. გლეხინმა ის ამდენხანს ნეტა რისთვის ველარ ნახა?!)

იერიქონის საყვირი

სენაკი. უცბად შეიძრა კედლები, დაფრთხენ ეზოში დედლები. ქალაქს მოედვა პანიკა,—ჰყვირიან: „ჩქარა, არიქა“... ბუდიდან შეშინებული აფრინდა მართას კრუხია. პეტრეს გაექცა მოზვერი, ხალათი ჩამოუხია. გეგონებოდათ— შვიდწლედში შევარდა მგელი რუხია, მაგრამ ეს თურმე ყოფილა ჩვენი ილია რუხია. ეს ჩვენი მასწავლებელი ყვირილში არის უხვია. (ალბად, ვინ იცის, მას იმ დღეს არაყი გადუხუხვია!) .

„მიხველი“.

გამოცანა

(ჩოხატაურისათვის)

ის ვინ იყო, როცა ერთხელ
გაატანეს ფული „ძმასთან“,
ფულმა თავი „შეაჭამა“
და არ მიჰყვა იგი მასთან?

—:—

ერთხელ სიცხეც კი აჩვენა
სხვისი ფულის ეგზომ ჭამამ, —
მაგრამ ყველა გადიხადა
შეძლებულმა მისმა მამამ.

—:—

ის ვინ იყო—შეგროვილი
რემეღასის „პაწა“ თანხა,
ყუთში ჩასდო, მაგრამ ბოლოს
მას ტფილისიც კი ანახვა.

—:—

რა დაბრუნდა, ყუთს დახედა,
ეძება და ველარ ნახა,
და ჭურდობა სხვას დასწამა,
აგი ხერხი გამონახა.

—:—

ცუდი საქმე მას დაატყდა,
გადიხადა ესეც „მამამ“...
პარტწმენდის ოროს გამოქვეყნდა
ეს უმსგავსო ბნელი დრამამ...

—:—

ის ვინ იყო—საჩივრებით
რომ გაიგსო ყველგან ყუთი.
თითქოს ბანკს სჭამს იპატი და
ძმა ბიჭები მასთან ხუთი,,,

—:—

ტფილისიდან საგანგებოდ
მოიყვანა რევიზორი,
ათ დღეს ბანკში მუშაობდა
გამოცდილი კაცი ორი.

—:—

არც გაფლანგვა, არც შეცდომა,
საქმე დარჩა ყველგან სწორი.
მხოლოდ თვითონ აღმოაჩნდა
დანაკლისი ასი ორი.

—:—

ფოსტის გამგემ ორის ნაცვლად
მას ქვითარი მისცა სამი,
და ამრიგად გადაცდომის
დადგა დრო და ანუ წამი.

—:—

გამგზავნმა კი დრო იხელთა,
და ზედმეტი ასი თანხა,
სთქვა, რომ ამას ვინ გაიგებს
და ჯიბისკენ გადუძახა...

—:—

ვფიქრობთ ასეთ საქმეს ჰქვია
ჩვენებურად საქმე ცუდი, —
და მაშინდელ ზედმეტ თანხას
ეხლა ფრჩეს ჩვენი „სუდი“.

ოსმან-ალა.

Ნ. რამიშვილის ცხვირი

წ. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობის გართულების დროს.

გართულების შემდეგ.

რუსული იუმორიდან

ამგის გაცილება

— შრომის ბირჟა? გამომიგზავნეთ სამი უმუშევარი ორი დღის ვადით—დაწინაურებულები უნდა შესცვალონ!

„კულტურული“ გასართობი

ქალაქის საზაფხულო თეატრის კასასთან გაჭიმული რიგი, დახლოებით ორმოცდა-ათი მეტრის უდრის.

რამ გამოიწვია ასეთი აღელვება და არაჩვეულებრივი მოვლენები მყუდრო ქალაქში?

ყოველივე ამის მიზეზი არის „**საქვეყნოდ ცნობილი ჰიპნოზიტორი დრავა-ხაინი, რომელიც გავლით ეწვია ქალაქს**“... ასე აცხობენ საზ-ბას ჩამოსულ ჰიპნოზიტორის აფიშები.

თეატრის ჭიშკარი გაიღო და საზოგადოება დიდი ჭაპანწყვეტით მოთავსდა დარბაზში.

მიწის იატაკზე მუდმივ მობინადრე ოწყილები, სამი კვირის სიმშილისაგან გამწარებულნი, გააფთრებით შეესიენ ჯერ კიდევ დაუჭერელ გამფლანგველების ცოლების მსუქან ფეხებს. ათჯერ დაირეკა და ამდენჯერვე თეატრის გამგე აწყნარებს საზოგადოებას. დაირეკა მეთერთმეტე და შვიდჯერ ჩამოვარდნის შემდეგ დიდი გაჭირვებით აიხადა სხვადასხვა ტილოსაგან შეკერილი აჭრელებული ფარდა. საზოგადოება გაკვირვებისაგან ფეხზე წამოდგა, როდესაც ინდოეთის სტილზე მორთული სცენა დაინახა.

უეცრად სცენაზე გამობობღდა „ინდოელი“, რომელიც შავ ვეებერთელა თვალებს წისქვილის დოლაბივით ატრიალებდა. ის ოდელი შეჩერდა შუა სცენაზე, თვალების ტრიალი შეაჩერა და მკვეთრი ხმით რაღაც სიტყვა გაუგებარ ენაზე

გამოხტა თარჯიმანი.

— მოქალაქენო, და აგრეთვე ამხანაგებო! — დაიწყო მან, — თქვენ წინაშე სდგას საიდუმლო ძალის, ესე იგი ჰიპნოზით მოქმედი. ის ამბობს, რომ მას შეუძლიან დააძინოს კაცი, გადააჩვიოს ლოთობას, პაპიროსის წევას და სხვა მავნე ჩვეულებას. ეს საქმე ადვილი არ გეგონოთ. ამისგან მოითხოვს ძალის დახარჯვას და დაძინებულმა შეიძლება სრულიად არ გამოიღვიძოს. ვისაც სუსტი ნერვები აქვს სჯობს სულ დასტოვოთ თეატრი.

ხალხი გაჩუმდა —დრავა-ხაინმა რაღაც წაიბუტბუტა.

— ჰიპნოზიტორი მოითხოვს რამდენიმე მოქალაქეს. მსურველებს გთხოვთ!

არავინ დაიძრა. არც ერთ მშვიდობიან მოქალაქეს არ სურს განიცადოს, უნდა საფათარაკო დაძინება. თხოვნა რამდენჯერმე გაიმეორეს, ბოლოს, როდესაც საზოგადოება დაიღალა, მოლოდინით და უკმაყოფილება, ყვირილით გამოიხატა, სცენაზე თავგანწირულად ავიდა მოქალაქე ცნობილი სიმსუქნით და ლოთობით.

ჯადოსანი მივარდა მას.

გადმოკარკლული თვალები შეაშტერა და მიაღრიალა: — ამუ—ნიამ.

მოქალაქე დამორჩილებული მოთენთილად დაეცა სკამზე და საეჭვო სისწრაფით გადავიდა ძილისებურ მდგომარეობაში: დაჰკარგა საკუთარი ნებისყოფა და სავსებით დაემორჩილა შთამგონებელს. დრავა-ხაინმა შთაგონებული ათჯერ ააყენა და დააჯინა, გაატარა სცენაზე რამდენჯერმე, გამოიწვია მასში კატალეფსია და სკამზე დააყრდნო თავით და ფეხებით.

შთაგონებული ვიღაცას შეებრალა და ამოიკვნესა.

შეიქნა ძახილი: „დავოლნა“, მაგრამ ჰიპნოზიტორი არ სცხრებოდა და „აწამებდა“ შთაგონებულს. უეცრად მოელინებული ფერშალი, დაბალი ტანის და ცოდნის, ამოწმებდა შთაგონებულის მდგომარეობას:

— შთაგონებულს, რომელმაც თავი არ დაიზოგა მეცნიერებისათვის, მეტი აღარ შეუძლია, დაიღალა!

შეიქნა ძლიერი ტაშის ცემა. ჰიპნოზიტორმა მძიმედ, როგორც შეეფერება ბრძენს, დაუკრა საზ-ბას თავი და კულისებში მიიმალა. თეატრის კედლების ტაშისაგან და ყვირილისაგან ინგრეოდა, მაგრამ ამაყი დრავა-ხაინი აღარ გამოჩენილა.

დ. ქ.

„ტარტაროზის“
შემდეგი ნომერი გამოვა 9 მარტს

ДЕЗЕ, 9 ТЕБЕРВАЛЕ, ДЕЗЕ

ДИДИ ГРАНДИОЗУЛИ ДА ЕРИОЗУЛ-КУРИОЗУЛИ ГАЛА—ГАРМОДГЕНА

ПИРВЕЛАД ТФИЛИСИШИ ДА МИОЛОД ЕРТХЕЛ,

ИЧАКАРЕТ !ИЧАКАРЕТ! НАХЕТ!..

1. ШВИДНИ ЖМАНИ ГУРГЗАНЕЛНИ—МИОФЛИОН ФОКУСНИКЕБИ.

2. ШАШВИ-КАКАБИ—САУКЕТЕСО ГАВГВРТНИЛНИ ФРИНВЕЛЕБИ.

3. КУКУ-МАЛИА — 12 ГЛ. ГАЛИ, РОМЕЛИЦ КИТХУЛОБС ХХВЕБС АЗРЕБС ТУ ВИНМЕ ЧАУЧУРЧУЛЕБС УУРШИ.

МИОФЛИОН ЧЕМПИОНАТИ.

ИЗИДАВЕБЕН:

ВЕРША ХИДЕЛИ ПРОТИВ **ГИКША ХАРФУХЕЛИ.**

ОНИКА ФУНИКУЛИОНРЕЛИ ПРОТИВ **ХАХОН МАЧХАНЕЛИ.**

НИКША ЧОНРНА ПРОТИВ **ХИХША МАРОНУНА.**

ТИТИКОН ИМЕРЕЛИ ПРОТИВ **СИКОНИА РАЧКВЕЛИ.**

САНДРША АВЕЛАБРЕЛИ ПРОТИВ **ПЕПОН НАХАЛОНКВЕЛИ.**

ЗИДАОБИС ДРОХЕ ДАУКРАВС ЗУРНА.
ЗИДАОБА ГАДАМГУКВЕТИА.

ЦИРКИС ДИРЕКЦИА

ОДИНИАДА

ХАШУРИС РКИНИС ГЗИС КЛУБШИ ХШИРАД АРИС ИСЕТИ ШЕМОХВЕВА, РОКА ГАРМОДГЕНЕБИ ДИДИ ДАГВИАНЕБИТ УГЗУЕБА.

—:—

„РОГОРЕЦ ГИСЛИС ГАМЧЕРИ
ЧАМАВАЛ МЗИТ ГАФЕРИ
ЕЛВАРЕБДА ГАПИРИ“
ГАРМОДГЕНИС ЛОДИНИС,
ЕТАВ АЧ РАТ МОВЕЛИ
СААТЕБИС МТОВЕЛИ
ДА ТУ МОВЕЛ БИЛЕТТАС
ГАМОМЕЛО ЛОГИНИЦ.

ЛАМИС ЧХРА СААТИА,
ХАЛХМА ЛАМЕ АТИА,
АРТИСТЕБИ ВАГЗАЛЗЕ
САСАИРНОТ ДАДИАН.
ИИЛА ТВЕЛЕМАМ МОИЦВА,
— ДАИГУКЕБА, — МОЦА!
КВЕЛАС ДИЛИ ГВИНДЕБА,
КВЕЛАС ДИЛИ ГВГВАДИА;
ХУРГИ СКАМЕБС АГВГВА.
ТАВИС ДРОХЕ ДАГУКЕБА
ГАМОМЕДГЕНИС ВЕР ВНАХЕТ
МТВЕЛИ ГВЕЛИГВАДИА.
ХАЛХИ ТАНДГВЕТ ГЛОВГДЕБА,
ШВА ЛАМЕ АХЛОВГДЕБА,
ХВРИНВАС ИГУКЕБС ПРАТЕРИШИ
МИШИКО ДА НАДИА...

СИКО.

САХКИНМРЕГВИС ХРОНИКА

◆ САМХАТРО САБГОМ ГАНИХИЛА, МОИГУНА ДА МИИЛО ПИРВЕЛ КАТЕГОРИАШИ ГВЕРЕТ КИДЕВ ДАУГВРЕЛИ СЦЕНАРИ: „АВАНСОБИА“, РОМЕЛИС ГОНОРАРИ УКВЕ МИИЛО ДА ШЕСУШАМ АВТОРМА.

◆ РОГОРЕЦ ИЧНА ДАМТАВРДА КИНО-АТЕЛИЕС ШЕНОБА. УВЕЛА РЕЖИСОРЕБИ ЕРТОБАШАД ШЕУДГЕН СХВАДАСХВА СУРАТЕБИС ГАДАЛЕБАС, РИС ГАМО АТЕЛИЕШИ ДАЛИЕ ПАТРОНС ВЕР ИЦНОБС ДА РЕЖИСОРИ ТАВИС ОПЕРАТОРС.

◆ УГЗО-УКВЕЛОД ДАИКАРГА ДА ВЕР АРИСАД СИНС СУРАТИ „ЧЕМИ БЕБИА“ (АЛБАД, СУРАТИ МАРТЛАЦ ГАВИДА БЕБИАМИСТАНЕ). ВИНЦ РОМЕ ИЦИТ АМ СУРАТИС ШЕСАХЕБ, ГОТХОВТ МОГВАГВОТ МИС ГУЛДАТУТКУЛ ДИДАС К. МИЧАБЕРИДЕС ЦНОБЕБИ САХКИНМРЕГВШИ.

◆ АМ ХАНЕБШИ САХКИНМРЕГВИ АБИРЕБС САХЕЛГАМИС ГИНА НАГИЛИС ГАДАЛЕБАС. УВЕЛА УСАКМУРИ ПОЕТЕБС ЕВАЛЕБАТ ЧАМГКРИВДЕН САХЕЛГАМИС ГИН.

ЦХВИРГАТЕХИЛИ.

ТЕЛЕФОНИТАН

ЛАНЧХУТИС РАИОНИСАМСКОМИС ТАВМГВДОМАРЕ ТЕЛЕФОНИТ УРЕКС ГВУРУУЕВИС АЛМАСКОМИС ТАВМГВДОМАРЕС:

— ГАМАРГВЕБА КОГИА... РОГОРИ МИДИС ТКВЕНТАН КОЛЕКТИВИЗАЦИИС САКИТХИ? КАРГАД?.. КОЛЕКТИВЕБИ МРАВЛДЕБА? КИ, МАГРАМ ЗОГИЕРТ КОЛЕКТИВЕБШИ МАНД, РОГОРЕЦ АМБОБЕН, АРА САБГОТА ЕЛЕМЕНТЕБИ ШЕПАРУЛАН. РОМЕЛ КОЛЕКТИВШИ? ШЕН ТУ АР ИЦИ, МЕ ГЕТУЕВИ: САКОРЕС КОЛЕКТИВШИ ХМАМОРТОМУЕЛИ ХАЛХИ ШЕМДГРАЛА, БАЛЕЕТИС КОЛЕКТИВШИ КИ УОФИЛИ ГВАРДЕЕЕ ДА МЕНШЕВИКИА САБГОС ТАВМГВДОМАРЕТ. АРА ГВГЕРА?

СКОЛИС КОЛЕКТИВЗЕ МОСУЛА ПУРИ ДА ФАРТАЛИ, РОМ СКОЛИС ГАМГЕМ МИИСАКУТРА, АРЕ ЕС ИЦИ? КИ ИЦОДИ? ТУ ИЦОДИ, РАТОМ ДААНЕБЕ? ГАМГИС ДАГЕХАТРА? РАС АМБОБКАЦИ, АМОДЕНА БАВШВЕБИС АР ДАГЕХАТРА ДА ГАМГИС САКМЕЗЕ РОМ ИБРАДОДИТ? РОМЕЛМА ГАИГО? АЛМАСКОМИМ? КАРГИ ДАЛИАН... ИСЕ, РОГОРЕЦ СИНС, ГЛЕХКОМИС ТАВМГВДОМАРЕ ГОГОУА ДА ПРЕЗИДИУМИ АРАФЕРС АКЕТЕБЕН. СУОРИА? ГЛЕХКОМИС РИГЕБШИ ШЕГИСИЕЛИ ХАЛХИА ГАЕРТИАНЕБУЛИ, РОМ АМБОБЕН, МАРТАЛИА? АРАФЕРИ ИЦИ? КИ УНДА ГЦОДНОДА, КИ.... САБГОШИ ХОМ АР ГУАВС ЕОКУЛАКО КАЦИ, РОМЕЛСАЦ ОРИСАМИ МОГВАМАГРИ ХГУАВС? АРА!?! ЕСЕЦ АЛМОЧНДЕБА ИЦОДЕ.

ШЕН УВЕЛАФЕРЗЕ УАРС ДА „АР ВИЦИ“-С ГАИДАХИТ. МАРА ВНАХОТ. АБА ТАВМГВДОМАРЕ РИС ТАВМГВДОМАРЕА, ТУ ТЕМИС АМБЕБИ АР ИЦИС!?.

КИ-КИ-ЛИ.

АР ДАИГВЕРЕБС!

АМАИЕР-КАВКАСИИС РКИНИС ГЗИС ГАМГЕОБИС МУША-МОСАМСАХУРЕТА ОРКВИРЕУЛИ ГАЗЕТИС—„РЕГУЛИАТОРИС“ ТАНАМШРОМЕЛИ **ТИКО** АЛНИШНАВС, РОМ СТАТИСТИКИС САОРТОКЛМАВАЛО ГАНУОФИЛЕБАШИ ‘АКМЕ АР КЕТДЕБА, АЧ МОСАМСАУРЕ ЧАЛЕБИ „ЗОГИ **САРКЕШИ ЦКЕРИТ ИЕЛЕБА.** ЗОГИ ДАХТИС ДА ЖОРИКАНОБАШИ АТАРЕБС САМСАХУРИС ДРОХЕ“. ЕГВЕЕ АР ШЕГВДИС ИМАШИ, РОМ ЕВРЕ ДАВГЕСЕБУЛЕБАШИ ТАНАМШРОМЕЛЕБИ ДА ГАНСАКУТРЕБИТ „ЦКЕРИАЛА ТАНАМШРОМЕЛЕБИ“ ИЧИТ АЧИТ МИХТИМОХТИАН ДА УДАРДЕЕЕЛАД АТАРЕБЕН САМСАХУРИС ДРОХЕ; (ДА АСЕТЕБС ТВИТОНАЦ СЕЧРИДЕБАТ САМСАХУРИДАН „АТАРЕБА“), МАГРАМ РАЦ ШЕГЕХЕБА ШЕНИШЕНС ИМ НАГЕЛС, САДАЦ АВТОРИ АЛНИШНАВС, ТИТАЧКС ЗОГАЕРТИ БАНОВАНИ **САРКЕШИ ЦКЕРИТ ИЕЛЕБА,** АМАС ТАРТАРОЗИ ТУТУХМЕТИ „КОКЕТКА“ БАНОВАНИЦ РОМ МИУУВАНОС ТИКОМ „САЗАКУСКОТ“ ГРТАМАТ РКИНИС ГЗИС САМАРТВЕЛОДАН, МАНЦ АР ДАИГВЕРЕБС.

РОГОРЕ ШЕИДЕЛЕБА МОЛАУБЕ „КОКЕТКЕБИС“ **САРКЕШИ ЦКЕРИТ** ДАЛАЛВА?

МОКЛАС ХАРИ ТИТАМ!

М—ЗА.

სუფსა



ცაში აზიდულ აღმასკომს
კიბე არა აქვს საკმარი.
მასზედ დამტვრეულ ხალხისგან
„გოსტრახს“ ედება ზარალი.
ბეწვის ხიდსავით ჰკიდია
ზედ ორი ფიცრის ნატეხი,
დიმიტრი რისთვის დაგვიგე
ეს მახე, კისრის სატეხი?

—:—

შენ გაწცხადებებს გლეხები
გაწვდიან მაღლა ჭოკითა;
გთხოვთ, რომ ააგო კიბე და...
შენზე ვილოცებთ ჩოქვითა.

ვ—ხი.

მიხი ხვედრი



ბოდორი

ტ—რს (ახალდაბა): სამკითხველოს მიმართ უყურადღებობისათვის, მასკომს უსაყვედურებთ:

შიგ ჩამოდის თოვლი, წვიმა,
ვერ გიშველის პლაშჩი, ჭოლგა.
ნიაღვარი რომ დადგება,
გეგონებათ მტკვარი, ვოლგა.
ჰო, ჩამოდი ტარტაროზო,
ბევრი არის აქ საკბილო.
ერთ ლუკმაზე ხომ გეყოფა
სამკითხველოს გამგე ილო?

შე კაი კაცო, თუ კი თქვენს სამკითხველოში ასეთი ამბები ხდება, რა მოაცდევინებს შიგ მის გამგე ილოს? ამიტომ სიზარმაცეთ არ ჩაეთვლება ის, რომ მას ყოველთვის ბამოკეტილი აქვს სამკითხველოს კარები.

მასალები უფრო კარგათ დაამუშავეთ, თორემ ჩვენ გადავგზავნით მათ დასამუშავებლად.... უფსკერო გოდორში.

„ჩემოს“. გეტყობათ — თქვენ შეყვარებული ყოფილხართ „მართა გოგოზე“, რომელსაც უძღვნით თქვენს ამ სამ ლექსს:

გენაცვალე გოგო მართა,
ჩვენი საქმეც გაიმართა.. ტარტაროზი დასძენს:

თქვენი ლექსი, ჩემო „ჩემო“
ჩვენს გოდორში გაიხლართა.

პორნოგრაფია რომ იუმორი იყოს, მაშინ თქვენ იუმორისტი .იქნებოდით; ხოლო, თუ ამათში განსხვავებას ვერ ნახულობთ, ვერც პატარა ტორკოლად გამოდგებით.

ხვიშტის. „**თუ არ დაიბეგდება უვარგისობის გამო, შეინახეთ და ოდესმე წავიღებო**“, — ასე გვწერთ წერილის ბოლოში.

დაუბეჭდავ მასალებს არ ვინახავთ. მასალის მოკითხვის შემთხვევაში, ჩვენთან თუ მოხვალთ, უშუალოდ მიაკითხეთ ჩვენს უფსკერო გოდორს.

ბირიუაბლს (ს. გუბი, ხონის რაიონი). ერთ-ორჯერ რომ თქვენთვისაც ეთავაზნა შუჯლუგუნი ალექსის ასეთი ლექსის დაწერისათვის, ჩვენ მადლობას ვეტყოდით მას.

იადგნს (ვიათურა). მიიღეთ ჩვენი თქვენდამი თანაგრძნობა ამდენი ქაღალდის ტყუილ-უბრალოდ დახარჯვისათვის.

ბზრინავს (ფარცხანაყანევი, ჭუთაისის ოლქი). როგორც კი კონვერტიდან ამოვიღეთ წასაკითხავად თქვენი წერილი, ის მაშინვე, თითქოს ფრთები შეისხაო, ჩაფრინდა... გოდორში. ჩვენ დავედევნეთ ამოსაღებად და წასაკითხავად, მაგრამ მოგვაძახა: — განა ღირს ჩემი დაბეჭდვა, როცა ასეთი ლექსთა - წყობა ძაქვს:

ეკლესიაში ვლოცულობ,
მაქვს დიდი-ბოხი ხმაია.
მე ჩემს სამსახურ არ დავგმობ,
თუ გინდ დამარტყან ქვაია.

— მე მცხვენოდა რედაქციაში გამოგზავნა, მაგრამ დამწერმა ძალით ჩამამწყვდია კონვერტში, რომელიც მაგრად დააწება, მარკა დამაკრა და გამომგზავნა. აქ კი თქვენს მიერ კონვერტის გახსნისას დრო ვიხელთე და სირცხვილის თავიდან ასაშორებლად გოდორში დავიმალე.

ჩენვც ვეთანხმებით თქვენს წერილს.

ნიშადურს (ამაღლება). ტარტაროზმა თვით თქვენს წერილს ამოსცხო ნიშადური და გოდრისკენ გადაუძახა, მაგრამ ისე კი არა, რომ **სამსონ ჯიბუტს გაუხარდეს** — ჩემს შესახებ ტარტაროზმა წერილი არ დაბეჭდაო.

აქ ცნობილი მევახშე
კაცი არის ჯიუტი.
პენსიასაც ღებულობს, —
სამსონია ჯიბუტი.
ამ ჩვენს სოფელს წურბელათ
მოელენია სამსონი.
მისი შვილი ორივე,
არის მამის ამფსონი.

აკაკი ერმალოზის-ძე **ულენტს** (ფასანაური). გიდასტურებთ, რომ „ტარტაროზი“-ს № 2-ში მოთავსებული ცნობა ფასანაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მოლოდინის შესახებ, თქვენ არ გეკუთვნის.

ქალდუელს (ლიხი). ასეთ დიდ მასალებს ჟურნალში არ ვბეჭდავთ.

ბზიკს (ზესტაფა, ზემო-სვანეთი). კოოპერატივის შესახებ ასე იწერებით:

საკონელს რომ მიიღებენ
ურიგებენ ჩარჩს და ტუზებს....,

და აღმასკომზე ამბობთ:

აქ მსახურნი უქმად სხედან,
და იჭერენ მხოლოდ ბუზებს.

ჩვენ შეგვიძლია დაგეთანხმოთ იმაში, რომ თანამშრომლები არაფერს აკეთებენ, ხოლო იმაში ვერ დაგეთანხმებით, რომ ისინი ბუზებს იჭერენ. გაგონილა ზამთარში ბუზები და ისიც სვანეთში?

Ф 345
1930

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

„მცირედი“ დაბრკოლება

— საბჭოთა კავშირს კისერს მოვუგრეხდით, რომ ეს არ გვიშლიდეს ხელს.

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319